

ჰუმანიტარული
ინტერვენცია, როგორც
კონფლიქტში ჩარევის ერთ-
ერთი საშუალება
Case Study: *ბოსნია და კოსოვო*

გიორგი ნიკოლაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების
და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები)

პროექტის ხელმძღვანელი: კონსტანტინე გაბაშვილი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ნიკოლაშვილი

28.01.2020

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში განხილულია კოსოვოში მიმდინარე კრიზისის დროსათვის არსებული, საერთაშორისო თანამეგობრობისა და, ზოგადად, საზოგადოების რეაქციის მიზეზები. 1998 წელს კოსოვოში კონფლიქტის დაწყებას, ძალიან მოკლე ხანშივე პასუხად მოჰყვა ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის (NATO) მიერ განხორციელებული ჰუმანიტარული ინტერვენცია, რასაც სამომავლოდ შედეგად მოჰყვა, დაახლოებით ათი წლის შემდეგ ევროპის პოლიტიკურ რუკაზე ახალი ერთეულის ჩამოყალიბება.

აღსანიშნავია, რომ, თავის მხრით, კოსოვოში განხორციელებულ ჰუმანიტარულ ინტერვენციას გააჩნდა საკუთარი გამამართლებელი მიზეზები. მაგალითისთვის - ესაა ზემოხსენებულ კრიზისში არსებული მსხვერპლის დიდი რაოდენობა; ასევე, ევროპის დანარჩენ ნაწილში კონფლიქტის გადადინების საფრთხე. მსგავსი გარემოებები არსებობა, რასაკვირველია, დასაღვლეთ ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ს ინტერესებში არ შედიოდა. მოვლენების მსგავსი განვითარების პერსპექტივა წარმოუდგენელ საფრთხეს უქმნის მსოფლიო მშვიდობასა და სტაბილურ განვითარებას. გარდა ამ ფაქტორებისა, ევროპას უკვე ჰქონდა გამოცდილება იმავე რეგიონში რამდენიმე წლით ადრე არსებულ, ბოსნიაში მიმდინარე ძალიან სისხლიანი კონფლიქტისა. მოცემულ ქეისში საერთაშორისო თანამეგობრობა ძალიან მინიმალური ჩარევით შემოიფარგლა; რამაც, ექსპერტთა მოსაზრებით, საკმაოდ დიდ სინანულს გააჩინა. ბევრის აზრით, საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან უფრო მეტ დაინტერესებასა და აქტივობას შესაძლოა, თავიდან აეცილებინა ბოსნიისა და ზოგადად, კაცობრიობისათვის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დატრიალებული ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი ტრაგედია, რომელიც “სრებრენიცას სასაკლავოს” სახელითაა ცნობილი.

მოცემული ნაშრომი სვამს შეკითხვას, თუ რა იყო ის მიზეზები, რის გამოც საერთაშორისო საზოგადოებამ ბოსნიის კონფლიქტი დატოვა მეტ-ნაკლებად

უყურადღებოდ და შემდგომში, ჰუმანიტარული ინტერვენციის გზით, მოახდინა კოსოვოს კონფლიქტში ჩართვა.

ნაშრომის ჰიპოთეზის თანახმად ბოსნიის კონფლიქტში საერთაშორისო საზოგადოების არათანმიმდევრულმა და არაკოორდინირებულმა გადაწყვეტილებებმა და მოქმედებებმა განაპირობა შემდგომში ჰუმანიტარული ინტერვენცია კოსოვოში. ამასთანავე, განმარტებულია ჰუმანიტარული ინტერვენციის დოქტრინა; ასევე, მიმოხილულია ბოსნიის კონფლიქტისა და კოსოვოში განხორციელებული ინტერვენციის მნიშვნელოვანი ფაქტები; ამასთან, ახსნილია ის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომლის გამოც საერთაშორისო საზოგადოება გაცილებით აქტიურად ადევნებდა თვალს კოსოვოში მიმდინარე პროცესებს და კონფლიქტის გამწვავებისთანავე განახორციელა ჰუმანიტარული ინტერვენცია, რომელიც მიზნად ისახავდა იუგოსლავიელი ლიდერებისა და მისი მხარდამჭერების სისასტიკის შეჩერებას კონფლიქტის მთლიან ტერიტორიაზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ჰუმანიტარული ინტერვენცია, კოსოვო, ბოსნია, სერბეთი, საერთაშორისო საზოგადოება.

Abstract

In this article it's reviewed causes of international community and in general, community reactions about crisis going on in Kosovo. In 1998 started conflict in Kosovo, which was very soon answered by humanitarian intervention implemented by NATO. In future, almost after 10 years, this would cause establishing new unit on European political map.

It should be noted, that humanitarian intervention in Kosovo had its own justifying reasons. For example, these are big amount of victims in this crisis; also, danger of spillover of this conflict on other European countries. Existence of such possibilities, of course couldn't be appreciated by US and Western European countries. Prospect of escalation endangers World Peace and stability in development. Beside of these factors, Europe already had bad experience in other Yugoslavian country, Bosnia. In that case, international community had minimal reaction, which by many experts, was their big regret. By many thoughts, more interest and activity from the side of international community probably could avoid Bosnian crisis and in general, one of the bloodiest tragedy after World War II, named as "The Srebrenica massacre".

This article asks question, what were the reasons of negligence from the side of international community in Bosnian conflict and then, reasons of implementation humanitarian intervention in Kosovo.

By the hypothesis of this paper, inconsistent and uncoordinated decisions from international community in Bosnia were the main indicators of their involvement in Kosovo crisis. Here is given definition of the "Doctrine of Humanitarian Intervention"; also, is given review of key facts of Bosnian conflict and humanitarian mission in Kosovo. This paper also explains one of the main reasons of much more attention from the international community and their active engagement in Kosovo processes by the way of humanitarian intervention. The purpose of this mission was suspension of Yugoslavian leaders and their supporters aggression on the whole territory of conflict.

Basic search keywords: humanitarian intervention, Kosovo, Bosnia, Serbia, international community.

მსურს მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, კონსტანტინე გაბაშვილს, რომლის სალექციო კურსმაც ინტერესი გამიღვივა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართ.